

ԵՅՅՆ ԸՄՅՐԿՈՒՄ ԶՈՒՅՆ ԶՄԵՐ ~~229~~ 60

287 1 60

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿՐԹԱԳՐԱԴԱՐԱՆ
ԵՐԵՎԱՆ 287 1 60

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԿՐԹԱԳՐԱԴԱՐԱՆ
ԿՐԹԱԳՐԱԿԱՆ ԽՐԱՆԻՔ

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
15.01.85 21

მთავარი მაინც მამული არის

ჯანსუღ ჩარკვიანი თავიდანვე მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი ყოველი გამარჯვება, ან შემოქმედებითი მარცხი (ასეთისაგან არავინ არ არის დაზღვეული), შეუმჩნეველი ან შეუფასებელი არ დარჩენილა. ასეთი რამ კი შემთხვევით არ ხდება — ჩანს ამ პოეტის შემოქმედებაში არის რაღაც, რაც ანდამატივით იზიდავს მკითხველს. და ეს რაღაც არის ყველაზე უფრო დასაფასებელი თვისება ჯანსუღ ჩარკვიანის, როგორც პოეტისა.

პოეტის პირველი წიგნი — „ერთი ღამის სიწმინდის“ გვხვდება თავისი გულწრფელობით. აქ შეუფერავად და დაუშიფრავად გადმოცემულია ახალგაზრდა კაცის დამოკიდებულებანი გარესამყაროსადმი და მთლიანად წიგნს გახედვს მათორული ტონალობა, თუმცა ცხადია, სევდიანი სტრიქონებიც გვხვდება. მაგრამ ეს ის „ნათელი სევდაა“, რომელიც მხოლოდ სიჭაბუკეს ხიფვია. ამჟამად ჯანსუღ ჩარკვიანი არაერთი პოეტური კრებულის ავტორია. ცხადია, ის პირველქმნილი სიხარული სამყაროს შეცნობისა თუ აღქმისა უფრო მეტი სიღრმეებისაკენ წავიდა, უფრო განშირდა მედიტაცია, ზოგჯერ გულის ტკივილიც... მაგრამ საფუძველთა საფუძველში, პოეტი ერთგული დარჩა იმთავითვე არჩეული გზის, არ შეუცვლია თავისი ხელწერა და, რაც მთავარია, ის ჭაბუკური უშუალობა საგნების და მოვლენების აღქმისა, რომელიც მას ბოლომდე შერჩა.

* * *

ერთ-ერთ თავის ლექსში, ჯანსუღ ჩარკვიანი კითხულობს:

რაა სიმაღლე, რაა სიმაღლე
სიცარიელე თუ განსაცდელი?

მისთვის, როგორც პოეტისათვის, სიმაღლე განსაცდელია; იგი მოიაზრება, როგორც „კედლი“,

ღვიძილი, ცრემლი, სილაღე“, როგორც ქალის სიყვარული, როგორც მამულის სიყვარული, რომელიც „განსაცვიფრებლად არის მთავარი“.

ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული გმირი, მოქცეული პოეზიისათვის ყველა ამ სამარადჯამო საკითხებს შორის, უთუოდ ქართველია თავისი გენეალოგიით. ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსების ტონალობა, ამ ლექსების არეალი, ქართულ პოეზიაში ფიქსირებული ფორმების სიუხვე, მხატვრული აზროვნების გარკვეული სტერეოტიპი, ამის დამადასტურებელია. ცხადია, ეს პოეტურ კარნაკტილობას როდი ნიშნავს, თუნდაც იმიტომ, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი თავისი ეპოქის თანამედროვეა, რომ მის პოეზიაში აირეკლა ყველა ის მტკივნეული საკითხი, რომელიც ჩვენი პლანეტის ყველა ეროვნების ადამიანებს აწუხებს და მაინც. ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტურ სამყაროში შესვლისას, ყოველთვის ვგრძნობთ, რომ

მთავარი მაინც მამული არის,
განსაცვიფრებლად არის მთავარი.

სპეციფიკური ქართული კოლორიტი იგრძნობა ჯანსუღ ჩარკვიანის სრულიად სხვადასხვა სასიათის ლექსებში, იქნება ეს სატრფიალო ლირიკის ნიმუში, თუ პლასტიკური სახეებია გამოძერწილი ლექსი „ვაჟა“:

შატლით მოდიოდა —
დიდი მთებით,
მთვარეს შეხვდებოდა
ვინვალთან,

მთვარისოდენა ხინკალს მიირთმევდა —
ეს დიდი ბერძუნა და მყინვარმთა.

ხელები ჰქონდა —
წყაროს ამოსცლიდა,
ქვეყნის მაჯისცემას
უგდებდა ყურს...

გაგებაშივე ავამაღლებთ, მაშინ ლოგიკურად უნდა მივიღეთ დასკვნამდე, რომ კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა მხატვრული ენა მისი შემოქმედებითი სტილის, შემოქმედებითი ინდივიდუალობის, შემოქმედებითი თავისებურების განმსაზღვრელიცაა, რომ ამ ენას ანასიათებს ხაოცარი ელასტიურობა და გამჭვირვალობა, სიცხადე და სისადავე, ხალხურობა და ემოციონალობა, მსუბუქი იუმორი და აზრიანობა, იდეურობა და ესთეტიკურობა, ყველა ის კატეგორია და ატრიბუტი, რასაც სტილის მეთოდისა და მხატვრული ენის მთლიანობა მოიცავს. ხოლო ყოველივე ეს მწერლის მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია.

მაგრამ ამ ზოგად დასკვნას მცირე დამატება სჭირდება. ანალიტიკოსის პირდაპირი თვლით შეხედვა სჭირდება მედალიონის მეორე მხარეს. საქმე ეხება მხატვრული ენის მოდერნიზაციისა და მოდიფიკაციის პროცესს. არხად, არც ერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არ გვხვდება იმდენი ვარიანტიული სახეცვლილება, რამდენიც კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებით პრაქტიკაში. აქ მხედველობაში გვაქვს არა ხელნაწერების გამოქვეყნებამდე ტექსტის ათასგვარი სწორების, ტექსტის დახვეწის სახეებით კანონზომიერი მომენტები და ელემენტები, არამედ უკვე გამოქვეყნებული და მკითხველთა კუთვნილებად ქცეული ნაწარმოებების ყოველ ახალ გამოცემაში ახლებური რედაქციით წარმოდგენის ის სისტემად ქცეული შემთხვევები, რაც ყურადღებას იქცევს თავისი უპრეცედენტობითა და იშვიათობით. ეს კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი სტილის ერთგვარი ექსპერიმენტალური თავისებურებაა, რაც მის მხატვრულ ენას ყოველთვის ანიჭებს ფუნქციონალურ პერსპექტიულობას, ყოველთვის აყენებს მაძიებელ მკითხველს მოულოდნელი სიტუაციებისა და ვითარებების წინაშე, აძლევს მას ცხოვრების სწრაფ დინამიკასთან ერთად ინტერესით მისდიოს ენის გამომსახველობითი ფორმებისა და საშუალებების უწყვეტ დინამიკას.

ზემოთ მივუთითებდით „კოლხეთის ცისკრის“ შემოქმედებითი ისტორიის ზოგიერთ ფაქტზე,

მისი ზოგიერთი თავის მერამდენე ახალ რედაქციულ ვარიანტზე, რაც ნაწარმოების მხატვრული ენის ანალიზისას ახალ მიდგომას და ახალ თვალსაზრისს მოითხოვს. რა თქმა უნდა, მისასაღმებელია მწერლის ასეთი დაჟინებითი სწრაფვა მხატვრული ოსტატობისაკენ, ცდა განუწყვეტლივ სრულყოს თავისი ნაწარმოები „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ თხზულებათა მეოთხე ტომში „პირველი დედის“ აღრინდელი ტექსტის „ჩემო გაიანს“ სახელწოდებით და შეცვლილი ვარიანტით წარმოდგენა ჩვენს დიდ ინტერესს იწვევს. მაგრამ რით შეიძლება გამართლებულ იქნას, მაგალითად, „მწვანე ღილის“ ცალკე წიგნად პირველი გამოცემის დროიდან (1949 წ.) თხზულებათა პირველი ტომის 1969 წლის გამოცემის დროისათვის, ე. ი. 20 წლის შემდეგ, ნაწარმოების ერთი მოქმედი პირის მოხუცი თევდორეს სახელის შეცვლა მოხუცა გირსკით? რა ემოციური და ესთეტიკური ფუნქცია იცვლება ამით? და ასეთი შეცვლის რამდენი მაგალითის მოტანა შეიძლება! მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ხელები ვასავსავოთ მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის დახურულ კარებთან. დადგება დრო და ისტორია თვით გახსნის ამ კარებს.

თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობას „ჩემი პირველი კომკავშირელი“ კ. ლორთქიფანიძე ასეთი ფრაზებით იწყებს:

„არც ერთი დარგის ხელოვანი ისე არ ჰგავს თავის ქმნილებას, როგორც მწერალი. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ სიტყვის ძალა განუზომელია, დაუღვეველი... ყოველი მართალი მწერალი უმეტესად თავისი თავისა და თავისი თაობის ბიოგრაფიას მოგვითხრობს. ყველაზე ღრმად და სრულად სწორედ აქ ამოიკითხება მწერლის სულიერი ცხოვრების ამბავი.“

და მართლაც, არხად ისე ნათლად და მკაფიოდ არა ჩანს კონსტანტინე ლორთქიფანიძის პიროვნება, როგორც ეს მის შემოქმედებაში, მის ენასა და სტილში, განუზომელ და დაუღვეველ ქართულ სიტყვასთან მუდმივ აღერსსა და ჰიდლიშა გამოკვეთილი, ხოლო თავისთავად ეს შემოქმედება საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა ეპოქის მშენებელი პირველი თაობის ქვეშაირი ბიოგრაფიაც არის.



ცდომის ღრმად შეგნებადღე. და ეს ასეც მოხდა. კვანძს ისევე ვაშალომიძე ხსენის. მოგუხმინოთ სვეტლანასა და ვაშალომიძის დიალოგს:

„ — სვეტლანა, რამდენი ხანია, რაც ტრაქტორზე მუშაობ? — ამ გაზაფხულზე დავიწყე, მერე ესენიც შემოვიდნენ.

— ისა? მოსუცი? დიდიხნის ტრაქტორისტია? — ტრაქტორზე დაბერდა. პირველი მანქანა მაგან შემოიყვანა ჩვენს სოფელში. მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი.

— მაშ, ნუ გეწყინება, ჩემო კარგო, რომ იმ მოსუციმა მადლობა არ გითხრა! — რათა? — შეპყვირა უსაზღვროდ გაცუბულმა ქალმა. ერთბაშად ისე გაფითრდა, მერგონა გული წაუვიდოდა.

— მოიცა, ლადო!. იქნებ ვირსკის არ უნდოდა იმ ტრაქტორის ამუშავება? — არ უნდოდა, ჩემო სვეტლანა, ნამდვილად არ უნდოდა.

— რას ამბობ! — წამოიძახა ქალმა და თავში ხელი შემოირტყა: — მაშ მე მტრის საქმე გამოიკეთება“¹.

ღიას, სვეტლანას მართლაც სოფლელების საწინააღმდეგო საქმე გამოუვიდა. ვირსკი განზრახ აჭიანურებდა ტრაქტორის ამუშავებას, რათა ამით ჩაეშალა სოფლიდან გერმანელებისათვის პურის გაზიდვის გეგმა. სოფლელებიც და თვითონ ვირსკიც მზად იყვნენ აეტანათ ამისათვის კომისრის როზგები და საშინელი ტანჯვა-წამება. სვეტლანას კი, როცა ის წააწყდა მოსუცი ვირსკის გაროზგის ფაქტს, სულ სხვა აზრმა გაუელვა. მან იფიქრა: ალბათ, მოსუციმა ტრაქტორისტმა, გულმადვიწყობით თუ რაღაც სხვა მიზეზით ვერ შეძლო ამუშავებინა ტრაქტორი, მტერი კი ანგარიშს არ უწყევს ვირსკის მოსუციბულობას და უდანაშაულოდ სცემსო. მისი პირველი გადაწყვეტილება იყო: მიშველებოდა მოსუცს, ესხნა ის გერმანელის როზგებისაგან. და, აი, ხსენის ერთადერთ გზად მან მიიჩნია ტრაქტორის ამუშავება, მაგრამ ეს უკვე გერმანელთა მიმართ სოფლელების საბოტაჟის გაცემას ნიშნავდა, რაც ფიქრადაც არ ჰქონია სვეტლანას. გულუბრყვილო და მიაშიტმა წასიათმა სვეტლანა უნებლიედ მიიყვანა ხერიოზულ შეცდომამდე (ტრაქტორის ამუშავება), ხოლო ამ შეცდომის შედეგს (სოფლელების თვალში მოღალატედ დასახვას) თავისი ბუნებით არ შეიძლებოდა შერიგებოდა იგი.

განა ცოტაა ცნოვრებაში ისეთი მაგალითები, როცა სწორედ ის გამოგდის, რაც ფიქრად არ გქონია. სვეტლანამ იგრძნო თავისი შეცდომა, გამოისყიდა ის გმირული და სახელოვანი საქმით. სწორედ ასე გვისხატავს მას მწერალიც.

I კ. ლორთქიფანიძე, თხზ., ტ. I, 1969, გვ. 87-88.

იგი უარს ამბობს ლადო ვაშალომიძისთან ერთად ფრონტზე წასვლაზე: „ასე შერცხვენილი, თავმოჭრილი სოფლიდან როგორ წამოვიდე?“ — ეუბნება ის თავის მეგობარს. რჩება მტკიცე გადაწყვეტილებით თავისსავე სოფელში, ცეცხლს უკიდებს პურის გაღწეულ კალოებს და გმირული საქმის ჩადენით აღფრთოვანებული ცდილობს თავი გააღწიოს მტრის რკალს, მაგრამ... ტყვედ შეპყრობილი სვეტლანა გერმანელებმა სოფლის შუაგულში ხეზე ჩამოახრჩეს. ასე დასრულდა მისი სპეტაკი და ნათელი სიცოცხლე.

თავის ნაწილს შეერთებული ვაშალომიძე, უტაშის ხელმეორედ განთავისუფლებისას, სვეტლანას დედისაგან გებულობს მისთვის საყვარელი ადამიანის გმირული დაღუპვის ამბავს, ამის შემდეგ რისხვით ივსება მისი გული, უფრო ძვირფასი ხდება სვეტლანას ხელით სამხედრო ხალათის მარცხენა გულჯიბზე დაკრებული დიდი, უფრო შეუღრეკელი, უშიშარი, თავგანწირული ხასიათი ეძლევა მის ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ,

ნაწარმოებში თემისა და იდეის ერთიანობაში გამოხატვის ყველაზე ძლიერ, ამაღლებებელ ადგილს წარმოადგენს მესამე ნაწილი, სადაც დიდი მხატვრული დამაჭერებლობითა და მგრძნობელობით არის აღწერილი უსახელო მაღლობზე ვაშალომიძის გმირული ბრძოლის, მისი გმირული სიკვდილის დაუვიწყარი, შთამაგონებელი სურათები. სისხლისაგან დაცლილი ვაშალომიძის ფიქრები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი სამშობლოს გარშემო ტრიალებს. მის განცდებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის ფიქრი და გრძნობა, ნაჩვენებია ის ურღვევი კავშირი, რაც არსებობს სამშობლოსა და ხალხის ნებას შორის.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მწვანე დილში“ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის ცნოველმყოფელი იდეა ხორცხეხმულია ნაწარმოების კონკრეტული ტიპოური გმირების ტიპოურ ხასიათებში, რაც თავის სრულყოფილ ფორმას მტკიცედ შეკრულ კომპოზიციასა და დინამიკურად განვითარებულ სიუჟეტში ღებულობს.

ასე ითქმის ომის თემაზე დაწერილ მის სხვა მოთხრობებსა და ნოველებზეც.

საგანგებო დაკვირვების ღირსია კ. ლორთქიფანიძის მხატვრული ენა, მხატვრული ოსტატობა. მასზე ბევრია დაწერილი როგორც ლინგვისტური, ენათმეცნიერული, ისე ლიტერატურის სცოდნეობითი, ლიტერატურულ-თეორიული და კრიტიკული თვალსაზრისით. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ღრმად ჩაწვდა ქართული ენის სიღრმეს. მისი ენა აჯადოებს და ატყვევებს მკითხველს, მას ესმის კონტექსტში სიტყვათა „რჩევა და შრიალი“.

თუ ყოველივე ამას სტილის ცნების სწორ

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის საქმარისი სრულყოფილად წარმოვადგინოთ ვაშლომიძის ტიპიურობა. კ. ლორთქიფანიძე ოსტატურად იყენებს ერთი შეხედვით თითქმის უმნიშვნელო დეტალს გმირის ხასიათის მკვეთრად გამოსახატავად და მოქმედების დაძაბულობისათვის. ერთ დღეს ზემდეგმა ვაშლომიძის სამხედრო ხალათის მარცხენა გულჯიბზე უფორმო, მწვანე, შავზოლებიანი დილი შენიშნა, ზემდეგმა ეს წესრიგის დარღვევად ჩაუთვალა ვაშლომიძის და, მიუხედავად მისი ხვეწნა-მუდარისა ნება დაერთო ეტარებინა იგი, დანით ააჭრა და შორს ბალახებში გადააგდო. ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა არმიის ცხოვრებიდან. მაგრამ რად იანტირესება ვაშლომიძის უფორმო შეუფერებელი დილის დატოვება მარცხენა გულჯიბზე? რად ლამობდა მის დამალვას ორდენის ქვეშ? რისთვის ეძებდა ასე გამწარებით გადაგდებულ დილს ბალახებში?

აი სწორედ აქ არის ნოველის ორიგინალურად მოფიქრებული კვანძი, აქედან იხსნება დრამატუზმის, გმირის ხასიათის შინაგანი ევოლუციის დაფარული ხვეულები, მოქმედება მძაფრად მიიმართება კულმინაციური წერტილისაკენ და ახალ მოქმედ პირთა ურთიერთ დაპირისპირებაში, ახალ გარემოცვაში კიდევ უფრო ნათლად და მკვეთრად ყალიბდება ვაშლომიძის მგზნებარე პატრიოტული ბუნება, მისი დევგმირული სულის სიღიადე და ახოვანება.

მწვანე დილი უმწიკვლო და წრფელი სიყვარულის უხილავი ძაფებით აკავშირებდა ვაშლომიძეს უტაშელ გოგონასთან, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა მას, როცა მძიმედ დაჭრილი უპატრონოდ დარჩა მტრის ზურგში. რა ამადლევაბელია მოთხრობის ეს ნაწილი! დონემისდილი, სასიკვდილოდ განწირული ვაშლომიძე უკანასკნელ ძალებს იკრებს, რათა ისედაც დასიცხული ვასცილდეს ლელიანის გულისწამლებ ოხშივარს, მაგრამ ძალა ელევა, მიწაზე ეცემა... ასეთ ვითარებაში წააწყდნენ შემთხვევით სვეტლანა და მისი დედა ვაშლომიძის. სოფელი ვერმანელთა ხელში იყო. დაჭრილი ჯარისკაცის მოვლა-პატრონობა საკუთარი სიცოცხლის ზიფათში ჩაგდებას ნიშნავდა. მაგრამ დედა და შვილი როდი უშინდებიან ამ საფრთხეს. ისინი დიდ გულისხმიერებას იჩენენ დაჭრალი საბჭოთა მემომრისადმი, უვლიან, მკურნალობენ, მზრუნველობას უწევენ მას. სვეტლანასა და ვაშლომიძის ურთიერთობაში, სვეტლანას დედის დამოკიდებულებაში ქართველი მემომრისადმი შესანიშნავად არის გამოხატული საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა ჰუმანიზმის იდეები.

შეტად მიმზიდველი და წარმტაცია სვეტლანას სახე. იგი ბავშვური გატაცებით ელოლიავება დაჭრილ ვაშლომიძეს, ტკბილი სიმღერებით უქარვებს ამხანაგებისაგან, ნაწილისაგან ჩამოცილებით გამოწვეულ დარდებს, უადვილებს ტკივილებს და სულიერ მხნეობას და ძალას მატებს მებრძოლს. მიმზიდველია სვეტლანას ოცნება — შექმნას ნამდვილი საბჭოთა ოჯახი, დამყარებული მტკიცე სიყვარულსა და ურთიერთობისაგან. მას ხიბლავს ვაშლომიძის სპეტაკი ბუნება და ადამიანური თვისებები. აქ სრულიად ბუნებრივად ინასკვება ომში შემთხვევით შეხვედრილ ქართველ დარუს ახალგაზრდას შორის სიყვარულის იდუმალი ძაფი. მათი მიზანი ერთდება; ეს არის, პირველ რიგში, თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს მიწაწყლიდან ვერმანელი ავაჯაკების განდევნისათვის, შემდეგ კი გამარჯვებული დაბრუნება საქართველოში, იმერეთში, ვაშლომიძის სახლში, მაგრამ რამდენი ასეთი სუფთა და ფაქიზი ოცნებები დაამსხვრია ომმა! რა ხანანებელია სვეტლანას სიკვდილი! ხომ არ შეიძლებაოდა ცოცხლად დაეტოვებინა იგი ავტორს და სხვა ვითარებაში ეჩვენებინა? რამდენად მოტივირებულია სვეტლანას დარჩენა სახლში და მისი დაღუპვა? ეს კითხვები ბუნებრივად დაებადება ყოველ შეგნებულ მკითხველს. მაგრამ აქ საქმე მწერალზე როდია დამოკიდებული. იგი ვერ შეცვლის სინამდვილის კანონზომიერებას. სინამდვილეში კი სვეტლანა ისე უნდა მოქცეულიყო ვაშლომიძისთან დაშორების მომენტში, როგორც ამას კ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს! რატომ? იმიტომ, რომ მისთვის, როგორც დენისურ კომპავეშირში აღზრდილ საბჭოთა ეპოქის ქალიშვილისათვის, ბუნებრივია, სრულიად შეუთავსებელია თუნდაც წამითაც კი წარმოდგენა იმაზე, რომ იგი თავისი ხალხის, სამშობლოს, თავისი მრწამსის მოღალატეა.

სვეტლანა ვერშინინა მთელი არსებით გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით სამშობლოსადმი. ამ სიყვარულმა უკარნახა მას შეეფარებინა თავის ბინაში მტრის ზურგში მოქცეული დაჭრილი ქართველი მეომარი, გაეწია სიცოცხლის რისკი ამ ვაზდული პატრიოტული საქმისათვის. მაგრამ მისდაუნებურად მოხდა ისე, რომ მოხუცმა გირსკიმ მას შემდეგ, რაც სვეტლანამ იხსნა ის ვერმანელის როზგებისაგან, მადლობის ნაცვლად, უკმაყოფილო, უმადური თვალებით დაუწყო ყურება მას, სოფელმაც აითვალისწინა. სვეტლანას გულუბრყვილობით წარმოშობილმა გაუგებრობამ გაამწვავა შინაგანი წინააღმდეგობანი მოკვლეობის შეგნებასა და ჩადენილ მოქმედებას შორის. ამ წინააღმდეგობათა განვითარების კანონზომიერებას არ შეიძლებაოდა არ მიეყვანა სვეტლანა საკუთარი შე-

რიც და შინაგანი სულიერი სილამაზეც, მისი მორალური სიწმინდეც და ვაჟკაცურა შემართებაც, მისი გულუბრყვილო, უცოდველი, კეთილშობილური თვალები ფრონტზე მისვლის წინ და, მტრის მიერ აოხრებული სამშობლო მიწის ტკივილების ღრმად შეგრძნების შემდეგ, მისი შურისძიებით ანთებული, განრისხებული, გაცეცხლებული გული; და მის ყოველ მოქმედებაში, სახიათის, ქცევის, აზრების ყოველ გამოვლინებაში, მის სპეტაკ სიყვარულში უტაშელი კოშკავშირელი ქალიშვილისადმი, მის თავგანწირულ, საბედისწერო ბრძოლაში უსახელო მაღლობზე და ამ მაღლობზე მის გმირულ სიკვდილში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ახალგაზრდობის, საბჭოთა ადამიანების მაღალმორალურ, პატრიოტულ ბუნებას, საბჭოთა ხალხის და საბჭოთა სამშობლოს უძლეველობის ნამდვილ და სრულყოფილ, მკაფიო და დამაჯერებელ განსახიერებას. ამაშია ნაწარმოების მთავარი მხატვრული ღირსება. ამაში მჟღავნდება მისი იდეური სიმახვილე და თემატური აქტუალობა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ვაშალომიძის ხასიათისა და მისი მოქმედების ბუნებრიობის ნათელსაყოფად შეძლო გამოენახა შესაფერისი ფონი, შეექმნა მის გარემო სრულიად კანონზომიერი და ომის ვითარებისათვის სავსებით დამახასიათებელი სიტუაცია. ასეთია, ერთი მხრივ, კაპიტან გელოვანის მწვერავთა ქვეგანყოფის საბრძოლო ეპიზოდები, რომლის მთავარი მონაწილე თვით ვაშალომიძეა და, მეორე მხრივ, სვეტლანასთან მისი ურთიერთობის მოკლე, მაგრამ ამადლევებელი ისტორია.

ახოვანი და შავთვალწარბა ახალგაზრდა ლადო ვაშალომიძე პირველ საბრძოლო „ნათლობას“ ყუბანის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში — კურჩანკაში ღებულაობს. ეს იყო სამამულე ომის ის ეტაპი, როცა საბჭოთა არმიის გრანდიოზული შეტევის გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა, როცა ჩვენი არმიის ნაწილები ლეგენდარული ბრძოლებით გმირულად ერეკებოდნენ კაცობრიობის უბოროტეს მტრებს ყოველი გამაგრებული პოზიციებიდან, ხელიდან აცილდნენ მათ დაკავებულ ტერიტორიებს და დღითიდღე ათავისუფლებდნენ საბჭოთა მიწა-წყალს. ამ ისტორიულ ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებასთან ერთად, მხარდამხარ მონაწილეობდა ქართველი ხალხი. მისი საუკეთესო შვილების სისხლითაა მორწყული ომის ვრცელი და უზარმაზარი გზა კავკასიის მთაგრეხილებიდან ელბის ნაპირამდე.

„მწვანე ღილის“ საექსპოზიციო ნაწილში (I-V თავი), რომელშიც მწერალი ნიადაგს ამზადებს მძაფრი სიუჟეტური მოქმედების გახაშვლად და მთავარი გმირის ხასიათის რელიეფურად დახატვისათვის, განსაკუთრებული სიკვვეთრით აჩვენს ხანგასმული სწორედ ეს მო-

მენტი. აი, ყუბანის ყორღანებისაკენ გაჭრილი შემტევი ნაწილების შესავსებად კურჩანკაში ახალმოსული მებრძოლები ველზე ისვენებენ. აქ არის ლადოც თავისი მომლიმარე, მოციმციმე თვალებით და უწყინარი, სანდომიანი ვაჟკაცური იერიო; ენაწულიანობს, ოხუნჯობს, თავის მშობლიურ იმერეთსა და ფრონტზე წასულ მამას იგონებს, ლაღობს, ერთობა და უცებ... თითქოს შეირყა, გადატრიალდა დედამიწა, საშინელმა გრგვინვამ მოიცვა მიდამო. ელვისებურად გადაუჭროლეს მტრის თვითმფრინავებმა კურჩანკას, დაბომბეს და მიიმაღნენ.

„სკოლის ახლო-მანლო, სადაც მთავარ მეხისტუნას გადაეგლო, ჩვენმა მაშველმა ჭგუფმა მხოლოდ ერთგან იპოვნა თხრილში დამარხული ჯარისკაცები. ორი მძიმედ იყო დაჭრილი, მესამეს ენა წართმეოდა, ყურიდან სისხლი სდიოდა და წამდაუწუმ ასლოკინებდა“, — ასე გვაცნობს ავტორი ომის საზარელ სურათს. ეს იყო ვაშალომიძის პირველი პირისპირ შეხვედრა ომთან; მის მუდამ შექნათელ ღიმილში ახლა უკვე ტანჯვის ნაკვალევი ჩაღვა. ანთო, აბორგა ვაჟკაცის ამაყი სული, უწყინარ და კეთილშობილურ გულში მრისხანებისა და შურისძიების გრძნობამ იფეთქა. ამ პატარა შტრიხით კ. ლორთქიფანიძე მოხერხებულად გვიჩვენებს საბჭოთა ჯარისკაცისათვის დამახასიათებელ ძვირფას თვისებებს. იგი მომთმენია და ჰუმანური გარკვეულ დრომდე, მაგრამ როცა კეთილშობილება არ სჭრის — გრივალურ რისხვად დაატყდება მტრს.

ასე დაიწყო ვაშალომიძის ახალი, ფრონტული ცხოვრების სახელოვანი საბრძოლო გზა. იგი ხდება გმირი მწვერავი, რომელიც მუდამ ბეწვის ხაღზე დადის, მაგრამ გასაოცრად თან სდევს ხოლმე უცნაური, ძლიერი, შეუვალი, ყოველ წვრილმანში გამხელილი რწმენა, რომ სიკვდილი შორს არის მისგან. ვაშალომიძე მორალურად ამარცხებს სიკვდილს. იგი მთავრობის მაღალ ჯილდოებს იმსახურებს მტერთან ბრძოლაში ჩადენილ საგმირო საქმეებისათვის და საკუთარ თავზე კი მაინც არაფერს ლაპარაკობს, სდუმს, ენაძუნწობს. მისთვის უცხოა ქედმაღლობა და ამპარტავნობა. რა საჭიროა ლაპარაკი საკუთარ თავზე, დე, თვით საქმეებმა გამოაჩინონ იგი — ასე ფიქრობს ვაშალომიძე. ამ უბრალოებასა და თავმდაბლობაში ნათლად გამოსჭვივის ის ძირითადი ტიპური ნიშნები, რაც ასე დამახასიათებელი იყო ომამდე და ომისდროინდელი ყოველი მოწინავე საბჭოთა მოქალაქისათვის. მწერალმა ვაშალომიძის კონკრეტულ პიროვნებაში ჩააქსოვა ჩვენი მოწინავე ადამიანების ყველაზე ძვირფასი და დამახასიათებელი თვისებები. ასე ამოდდა ნაწარმოების რიგითი პერსონაჟი ზოგად ტიპიურად დონემდე.

მასის ურთიერთობის, ადამიანთა მორალური სიწმინდის, ახალი ფსიქოლოგიური ორგანიზაციის, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების მწვავე პრობლემები“¹ განსხვავებით „კოლხეთის ცისკრისაგან“, „ნატურის თვალის“ განსაკუთრებით მეორე წიგნში საგრძობლადაა წინა პლანზე წამოწეული ცხოვრების მანკიერი, უარყოფითი, ნეგატიური მხარეები, კრიტიკული, მამხილებელი პათოსი, რითაც იგი უერთდება 60-70-იანი წლების ქართული საბჭოთა პროზის საერთო ტენდენციას, მის საერთო ხაზს. პერსონაჟების მოქმედების არენად. აქ აღებულია მწერლისათვის კარგად ცნობილი კახეთის ულამაზესი კუთხე — შირაქი, მისი პირველი ნარკვევის „ახალი ვლებების“ შთაგონების ის წყარო, რომელმაც სათავე დაუდო კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში რევოლუციის შემდეგდროინდელი სოფლის თემატიკის დაშვიდრებას და გაბატონებას.

ეს თემატიკა გამოსახა მან თავის „ბელორუსულ მოთხრობებშიც“, მაგრამ მათში, უპირველეს ყოვლისა, პირველი იმპერიალისტური ომის მძვინვარებაა ნაჩვენები და გერმანელთა წინააღმდეგ მოძმე ბელორუსი ხალხის გამირული ბრძოლის სურათებია დახატული. ოთხივე მოთხრობის („ფუნდუკში“, „ცხენი“, „იხვე ცხენი“, „უკვდავება“) ცენტრში დგას პოლესიეს მკვიდრის ბაბუა რუსლოს საბრძოლო თავდასავალი, მისი სულიერი სიმტკიცე, სამშობლოსათვის თავდადება და გაუტყეული ბუნება. ამ გამირის ცხოვრებისა და მოქმედების ფონზეა გამოსახული ბელორუსიის წარმატაცი პეიზაჟები, მისი ადამიანების ზნე და ხასიათი, ჩვეულებები და განწყობილებანი, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეალები და ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო სამოქალაქო ომის დროს ბელორუსმა ხალხმა საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად. ეს მოთხრობები დაიწერა და გამოქვეყნდა 1937-1938 წლებში ბელორუსიაში ქართველ მწერალთა ჯგუფის მოგზაურობის შედეგად. კ. ლორთქიფანიძე ამ მოგზაურობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. და მას წილად ერგო ერთ-ერთ პირველს გამოცხატა ქართულ საბჭოთა მწერლობაში ჩვენი მოძმე ბელორუსი ხალხის ბრძოლისა და ყოფის სურათები, რომელშიც მწერალმა საუცხოოდ ჩააქსოვა ხალხთა მეგობრობის გრძნობა და იდეა.

ის გრანდიოზული მასშტაბი, რომლითაც ხასიათდებოდა საბჭოთა ხალხის დევგმირული ბრძოლა გერმანელი ფაშისტო დაპყრობლების წინააღმდეგ, სულის ის მხნეობა და ვაჟაყფაძური ალტყინება, სიმამაცისა და გულადობის ის

¹ გიორგი მერკვილაძე, რომანი და ეპოქა, 1973, გვ. 213.

მარად უტყნობი მაგალითები, რომლებიც გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა ამ ომში, იყო და რჩება დაუსრუტელ წყაროდ, მნიშვნელოვან თემად საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის. ამიტომ ახალი თვალთა და თავისებურ მხატვრულ ასპექტში დანახული ომის ყოველი ეპიზოდი, ამ ეპიზოდის სწორად ამსახველი ყოველი მხატვრული ნაწარმოები უდიდეს სულიერ კმაყოფილებას იწვევს საბჭოთა მკითხველში, აერთებს მის ბედნიერ დღევანდელობას გუშინდელ მწვავე ტკივილებთან, ომისდროინდელ აწ მოშუშებულ იარებთან, ამძაფრებს მის მშვიდობიან შრომას სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად და მრისხანე შეურიგებლობის გრძნობით აღანთებს მას ახალი ომის გამჩაღებელთა ვერაგული გეგმების წინააღმდეგ.

ასეთ გრძნობებს და ემოციებს აღძრავს კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამამულო ომის თემაზე დაწერილი ყველა ნოველა და მოთხრობა: „როგორ მოკვდა მოხუცი მეზადური“, „მწვანე ღილი“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „ცაბუნია“ და სხვ. ნიმუშისათვის ავიღოთ ვრცელი ნოველა „მწვანე ღილი“. რაშია ამ ნაწარმოების წარმატების საიდუმლოება? მხოლოდ თემაში? რასაკვირველია, არა. აქტუალური თემა ზოგჯერ მსხვერპლად ეწირება ამა თუ იმ მწერლის დაუმუშავებელ, დაუძლეველ, გაუმართავ მხატვრულ ხახეებს, რის შედეგად ნაწარმოები კარგავს ხოლმე მკითხველზე იდეურ-ემოციური ზემოქმედების ძალასა და მნიშვნელობას.

„მწვანე ღილში“ კონსტანტინე ლორთქიფანიძე ეპოქალური იდეის გამოსახატავად პათეტიკურ მსჯელობებს როდი მიმართავს, როდი გვაბეზრებს თავს ათასჯერ მოხმენილი, წაკითხული თუ გაგონილი ამბებით ომზე, არამედ ორიგინალურად მოფიქრებული სიუჟეტითა და მისი კომპოზიციური მთლიანობის თავისებური სიმკვრივით, საბჭოთა არმიის ერთი რიგითი მებრძოლის, რიგითი ჯარისკაცის ფრონტული ცხოვრების აღწერის ფონზე ვვიჩვენებს მის ცოცხლად გამოკვეთილ, კონკრეტულ, დამაჯერებელ ხახეს, მის ხასიათს, ბუნებას, მოქმედებას, მის განცდებს და გრძნობებს და ამის საფუძველზე, ნაწარმოების ამ კონკრეტული გამირის ტიპიზაციის, ფაქიზად შერჩეული მხატვრული აქსესუარების, დახვეწილი ენის ლაქონურ, სხარტ ფორმებში გაშლის გზით მკითხველთა შეგნებამდე მიაქვს მასში ჩაქსოვილი დიადი აზრი, ღრმა ჰუმანისტური იდეა.

ამ ნაწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვხიბლავს ლადო ვაშალომიძის ინდივიდუალური და, ამავე დროს, უაღრესად საინტერესო ზოგადი ხახე, რომელსაც ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით აქანდაკებს. ჩვენ გვხიბლავს მისი პორტრეტული, გარეგნული ელფე-

ძაღლების დათრგუნვა, არამედ მძაფრი შეტაკება პარტიის რიგებში მყოფ გადაგვარებულ, ოპორტუნისტულ ელემენტებთან. ამ ბრძოლაში იდეურად იწრთობა და იბრძმდება ტარასის ხასიათი. მისი სიმტკიცე და პრინციპულობა მკაფიოდ მჟღავნდება განსაკუთრებით თემსაბჭოს თავმჯდომარე ტუჩა დაშნიანთან დაპირისპირებაში. დაშნიანს შემარიგებლური, ორჭოფული პოზიცია უჭირავს კულაკებთან და სოფლის სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებთან დამოკიდებულებაში, მერყეობას იჩენს სოფლის მეურნეობის ახალი სოციალისტური გზით გარდაქმნის საქმეში. პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, სადაც ეს საკითხი იჩივება, იგი რიხიანად აცხადებს: „მართალი თუ გინდათ, ზემოცინეში არცაა ნამდვილი კულაკიო“. საკოლმეურნეო წყობილების ყველაზე დაუძინებელი მტრის ბარნაბა საგანელიძის ხასლში ღვინით გაღვნილი დაშნიანი ასე გამოხატავს თავის სიანდოვებს ამ პერსონაჟთან: „კომუნისტი რომ არ ვიყო, ხვალვე ჩაგესიძებოდი, ჩემო ბარნაბ, ხვალვე“. მოქცეულია რა კლასობრივი მტრების გავლენის ქვეშ, დაშნიანი არათუ აქტიურად უღდას გვერდით კომუტარდის მდივანს ხაზარაძეს სოფლად პარტიის პოლიტიკის სწორად გატარებისათვის ბრძოლაში, არამედ წინ ეღობება და ხელს უშლის კიდევ მას.

დაშნიანი ებლაუჭება ძველს, დახავებულს, მიშავალს, ხაზარაძე კი წინ იხედება, იგი ინიციატივანი, ფოლადისებური ნებაყოფის კომუნისტია, ამიტომ შეუძლებელია ასეთი ანტიპოდური ხასიათების ერთმანეთთან შერიგება. ცხოვრების განვითარების კანონზომიერება თავისთავად გარყვავს პირველს, მორევში მოაქცევს, მეორეს კი აამაღლებს და გააქანებს წინ — ნათელი და ღია მიწისსაკენ.

თუ რამდენად დაძაბულია წინააღმდეგობა ამ ორ ხასიათს შორის, რამდენად დაშორებული არიან ისინი ერთმანეთისაგან პრინციპულ საკითხებში, ეს ჩანს ნაწარმოების შემდეგი ადგილიდან:

„სოფლის თავკაცები აღმასკომში შეკრებილან. ტუჩა დაშნიანი ზარის ენას ათამაშებს და ქვეშ-ქვეშ იღიშება... ტარასი ხალხის დასაწყენებლად სახვალოდ მთელი სოფლის დაძახებას მოითხოვს.

— არავითარი მიტინგი და ბრიტინგი! — სიტყვა შეატრა ტუჩამ. სოფელი გადარიცხ, ახლა ჩვენ ვილა დაგვიჭერებს! მიტინგზე გავვაშავებენ. ქუთაისში კაცი ვაფრინე. ხამაზრო კომიტეტის მდივანი ჩამოვა. მანამდე არავითარი მიტინგი...

ტარასი გაშტერდა. ეს რას ნიშნავს, რატომ არ გამოგებინა, ქუთაისში კაცს თუ აგზავნიდა ვინ იცის, რა აცნობა...

და მაშინვე მისვდა, სად უმიზნებდა აღმასკომის თავმჯდომარე: ხვალ ხალამოს ხამაზრო კო-

მიტეტის მდივანი ჩამოვა. სოფელი დაშლილი დახვდება. ტუჩა ყველა ცოდვას მე ამკიდებს და... ჰეა, მაგახ, სოფელი ხაზარაძემ გადარიაო. ჩემი გაშავება უნდა, დრო მიშოვა და ანგარიშს მისწორებს.

ტარასი ძლივს ფარავდა მღელვარებას.

— ხვალამდე ლოდინი დანაშაულად ჩაგვეთვლება. ჩვენი უმოქმედობა ბოლოებს კიდევ უფრო გაათამამებს და სოფელს მთლად მოწამლავენ! მაშინ ვინდა აგოს პასუხი?

— შენ და შენმა კოლექტივმა. — სწრაფად მოუჭრა დაშნიანმა.

— მარტო მე? რატომ? შენ კი არა?

— დიას, მარტო შენ“.

მწერლის გამარჯვება იმაშია, რომ მან ერთმანეთს დაუპირისპირა რა 20-იანი წლების კომუნისტ-ხელმძღვანელის ორი სახე, დადებითი და უარყოფითი, ამით გვიჩვენა დადებითის უძლეველობა, ხიდად, მისი ზრდის ტენდენციები, უარყოფითის თანდათანობით გამოსწორების, აღმოფხვრის, დაძლევის, ლიკვიდირების ფონზე. სწორედ ამაშია ახალი სოციალისტური ცხოვრების კანონზომიერება, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ნოვატორული ხიანლე, ლიტერატურის პარტიულობის ღვინო-ნური პრინციპის პრაქტიკული გამოყენების, მის მოთხოვნათა ძირითადი აზრი.

„კოლხეთის ცისკარი“ გაუღენთილია პარტიის პოლიტიკისადმი ხალხის ფართო მასების ერთგულების ხულისკვთებით. ტარასი ხაზარაძე, როგორც კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, ხალხის სათავეში დგას, წარმართავს მათს შინაგან ძალებს ახლისათვის ხაბრძოლველად. ამ ახლის შენების პროცესში, სოციალისტური ხექტორის თანდათანობით განმტკიცების საფუძველზე იმსხვრევა გლენტა შეგნებაში კერძო ინდივიდუალისტური ინსტინქტები და ყალიბდება ახალი მსოფლმხედველობა, რომლის განმსახიფრებელია მექი ვაშაკიძე. აქედან ცხადი ხდება, რომ „კოლხეთის ცისკარის“ იდეურ-მხატვრული გამარჯვება განპირობებულია პირველ რიგში ტარასი ხაზარაძის ხასის სწორად გამოკვეთით, ეპოქის დამახასიათებელი ნიშნების რეალისტური ჩვენებით, ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნით.

თემატურად „კოლხეთის ცისკარის“ რეალშია მოქცეული კ. ლორთქიფანიძის ომისშემდგომი პერიოდის ვრცელი, ჭერ ისევ დაუხრულებელი რომანი „ნატრის თვალი“, რომლის პირველი და მეორე წიგნი იწერებოდა თითქმის მთელა ორი ათეული წლას განმავლობაში. ამ რომანში მწერალმა, გ. მერკვილაძის სწორი დახვეწით, მიზნად დაიხასა ეჩვენებინა „ომისწინანდელი და ომისშემდგომი ქართული სოფლის ადამიანების როული, მრავალმხრივი ცხოვრების მთავარი საკითხები, ხელმძღვანელისა და

ვეული მძიმე ფსიქოლოგიური ვანცლა — პირადი ღირსების შელახვა და დამამცირებელი წედწოდება „ხრიკუნია“ საფუძვლად ედება მის სატირფაქციას — ხაუომიასთან დუელის გზით თავისი პიროვნული ჟინის დაკმაყოფილებას, შუურაცხყოფისათვის საშაგიეროს გადახდის მოთხოვნას.

ამ ეტაპზე მეტი ვაშაქიძე სოფლის „წურბელის“ — ბარნაბა საგანელიძის შინამოსამსახურება და მხოლოდ იმაზე ოცნებობს, თუ როგორ შეიძინოს დაგროვილი კაპიტებით მარჩინალი ხარი. იგი მესაფლავე დახუნდარასავით ლანდებს და ილუწიებს ეპოტივება. მაგრამ დამთავრდა „ნების“ — ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი. შემოცინეში ყალიბდება კოლმეურნეობა. ღარიბი და საშუალო გლეხობა დაადგა ცხოვრების ახალ გზას. მეტი კომპაგვირელ ბაჭუა ვარდოსანიძის დახმარებით ამ ახალი გზის აქტიური მშენებელი ხდება. მას შემოყავს პირველი ტრაქტორი შემოცინეში ნიშნად გაჯაფხულის, „ბოლშევიკური თესვის“ პირველი გაჯაფხულის შემოსვლისა. მეტი ვაშაქიძის ახალ აღმინად ჩამოყალიბების მთელი პროცესი მწერალმა გვიჩვენა მწვავე კლასობრივი ბრძოლის, კულაკური და ვაჭრული ელემენტების — ბარნაბა საგანელიძისა და ერემო პირტახიას მტრული საქმიანობის, საშუალო შეძლების გლეხების — გიორგი ჯიშკარიანის და ახლან მარგველაძის მერყეობის, მათი შინაგანი სულიერი ბრძოლის, კოლმეურნეობის თანდათანობით განმტკიცებისა და გაძლიერების ფონზე.

და ამ ვითარებაში მთავარ როლს ასრულებს ტარასი ხაზარაძე, რომელიც გვხვდება პარტიის პოლიტიკისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულებით, მშრომელთა ბედნიერებისათვის თავგამოდებული ბრძოლის შთაშაგონებელი მაგალითებით. ტარასი ხაზარაძე წარმოადგენს სოფლის კომუნისტთა იმ პირველი თაობის ტიპურ სახეს, რომელიც გამირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, ენერგიულად იცავდა რევოლუციის მონაპოვარს და დაძაბული შრომით ჭედდა ხალხთა ბედნიერ მომავალს. ხაზარაძე თავის მშობლიურ სოფელში სათავეში უდგება გლეხთა მასობრივ მოძრაობას ახალი საკოლმეურნეო წყობილებასკენ, ხდება შემოცინეში პირველი კლდეტური მეურნეობის ორგანიზატორი და მეთაური.

დიდა შემოცინეში ტარასი ხაზარაძის ავტორიტეტი. სოფლის ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ძირითადი ნაწილი — პატროსანი მშრომელი გლეხკაცობა (ცირილე შიქაძე, ბეჟან უშვერიძე, ვიგუცი უკლება და სხვ.) ნდობით შეესტყვირის მის ახალ აზრებს, ირახმება მის გარშემო. მწერალი დიდი სიფვარულითა და ღრმა ღირიკული სიბოლოთი მოსავს თავისი ნაწარმო-

ების მთავარ გმირს, გვხვავს მეზრძოლი კომუნისტის მისაბად და დასამახსოვრებელ სახეს. ეს გმირი ნაჩვენებია არა როგორც „ზეკაცი“, მდგომარეობითა და დაფასებით გამაყებული აღმინი, რომელიც ტუჩა დაშინიანივით წყდება მახებს, უფსკრულში იძირება, არამედ როგორც უბრალო და თავმდაბალი, წინდახედული და გამოცდილი კომუნისტი ხელმძღვანელი, რომელსაც იდეური ზრდის, სიძნელებთან გამარჯვების საფუძველს აძლევს ურდვევი და სისხლსორცეული კავშირი ხალხთან.

ტარასი ხაზარაძემ არ იცის სიძნელების წინაშე შიში და უკანდახევა. მისი ნაბიჯები დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან, მაგრამ ამ შეცდომებს კი არ აღრმავებს იგი, არამედ დროზე და უმტკივნეულოდ ასწორებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივნის ბაკურაძის როლი ნაწარმოებში. იგი დინჯად, წინდახედულად წარმართავს საქმეს და ყოველმხრივ ეხმარება სოფლის პარტიულ ორგანიზაციას მის წინაშე წამოჭრილი რთული პრობლემების გადასაწყვეტად. ასე იქმნება მთლიანი შთაბეჭდილება პარტიის ნების ერთიანობაზე, მისი რიგების მონოლითურ სიმტკიცეზე. სოფლის კოლექტივიზაციის განხორციელება გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა კულაკური ელემენტების (საგანელიძე, პირტახია, დვალისვილი, ხაფომია) მხრივ, ტარასი ხაზარაძე ხალხის მხარდაჭერით ძლევს ამ წინააღმდეგობებს და აღწევს დასახულ მიზანს — შემოცინის კოლმეურნეობა „კოლხეთის ცისკარი“ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად ერთ მჭიდრო, ურდვევ კოლექტივად ყალიბდება.

კ. ლორთქიფანიძე ტარასი ხაზარაძის ზოგად ტიპურ სახეში მკვეთრად გამოყოფს მის ინდივიდუალურ ნიშნებს. „მუდამ ჩაფიქრებული, მუდამ რაღაცაზე მზრუნველი ტარასი, — ვკითხულობთ რომანში, — ცოტა გულჩიბრობილი კაცი გეგონებოდათ პირველად მნახველს. მაგრამ დაილაპარაკებდა თუ არა, იგი ერთბაშად შეიცვლებოდა, მაღალი, ნათელი შუბლი გაეხსნებოდა, თაფლისფერ თვლებში კეთილი სხივი ჩაუდგებოდა, ტუჩების კუთხეებში თავმოყრილი ნაოჭები სადღაც გაუჭრებოდნენ და ისე შემოგხედავდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობს გიყურებდა“. ეს შინაგანი კეთილშობილური თვისებანი, შეერთებული მის წარმოსადგე გარეგნობასთან, აღმინებზე დიდი მორალური შემოქმედების ძალას ანიჭებს ტარასი ხაზარაძეს.

ნაწარმოებში კონფლიქტები ვითარდება არა მხოლოდ ორ მოპირდაპირე — კაპიტალისტურ და სოციალისტურ ტენდენციებს შორის, არამედ აღებული კურსისადმი შეტევით და მფრთხალ პოზიციებს შორისაც. ამიტომ ხაზარაძეს უხდება არა მარტო მტრული კლასობრივი

1948-1952 წლებში ნაწარმოებზე მწერლის მიერ ჩატარებული ახალი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მივიღეთ მისი საბოლოო ვარიანტის სტაბილური ფორმა — „კოლხეთის ცისკარი“. ამ ხნის განმავლობაში არსებითი ხასიათის რედაქციული, სტილისტური და ფრაზეოლოგიური ცვლილება განიცადა თვით ტექსტში. ეს პროცესი იმდენად ხანგრძლივი, იმდენად პერმანენტული აღმოჩნდა, რომ უფრონად „მნათობისა“ და გავით „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე სულ ანლახან გამოჩნდა „კოლხეთის ცისკრის“ პირველი თავის ერთ-ერთი ეპიზოდის — თალიკოსა და მექი ვაშაკიძის ურთიერთობის გამომხატველი სრულიად ახლებური ვარიანტი, რითაც მწერალმა გვაგრძნობინა: — ნაწარმოებზე შრომა და ჯაფა ჯერაც არ შემოწყვეტილია.

ახე გამუდმებით, ახე გულმოდგინედ და ახე დაუინებოთ ელოლიავებოდა და ელოლიავება მწერალი ამ რომანის ყოველ ფრაზას, რანდავდა და რანდავს მის ყოველ სიტყვას, სრულყოფდა და სრულყოფს მის ყოველ მხატვრულ ბასაუსს, აქსესუარს, ხასნეს. ეს ჩუქურთმის მჭრელის თუ ოქრომჭედლის დაუცხრომელ რუდუნებას ჰგავს.

„კოლხეთის ცისკარმა“ გზა გაიკაფა მსოფლიოს თვალუწვდენელ ლიტერატურულ სამყაროსაკენ. მის შესახებ კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების უუნრალ-გაზეთებში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1968 წელს გამოცემულ მწერლის თხზულებათა ოთხტომეულის მეორე ტომს ბოლოში დართული აქვს ფრანგი პროზაიკოსისა და კრიტიკოსის ანდრე ვურმსერის ის სტატია, რომელიც წინ უძღოდა ნაწარმოების ფრანგულ თარგმანს პარიზში. საზღვარგარეთელი ლიტერატორი მაღალ შეფასებას აძლევდა „კოლხეთის ცისკარს“. ჩვენს პრესა და კრიტიკა ხომ თავიდანვე დამსახურებული, მაღალფარდოვანი ეპითეტებით ამკობდა მას. ანდრე ვურმსერი წერს: „ავტორს ვისიმე გადაწყვეტილებით და ბრძანებით კი არ ჩაურთავს პოლიტიკა თავის რომანში — პოლიტიკა თვითონ შევიდა ყოველი ადამიანის ყოფაში, განაახლა იგი, გადაახალისა. მწერალმა რეალისტმა ეს დაინახა, გაიგო და დახატა“.

„კოლხეთის ცისკარი“ ქართულ საბჭოთა პროზაში პირველი ნაწარმოებია, რომელიც გამოსახავს საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უველაზე ადრეულ პროცესს. სოფლად კოლმეურნეობების ჩამოყალიბებისა და გლენური კერძომეხაკუთრული ფსიქოლოგიის გარდაქმნის, ახალი სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობის, ადამიანში ახალი ფსიქიკის ფორმირების, ძველისა და ახლის

დაპირისპირების ფონზე ძველის განადგურებისა და ახლის გამარჯვების რთულ პროცესს, მის დიალექტიკას, აღმავალი გზით მისი განვითარების პერსპექტივას. ეს პროცესი ჩვენი თანამედროვეობისათვის ისტორიად იქცა.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დღევანდელი სიმაღლეებიდან უკან მიხედვისას ბევრი რამ არც ისე უორეული წარსულიდან ქვიშის უსარგებლო ნალექებად მოგვეჩვენება. მაგრამ, როგორც თვით კ. ლორთქიფანიძე ვაუწყებებს, „უველა დროს თავისი გზა და კვალი ჰქონდა, თავისი სიმართლე. სასტიკი იყო თუ სათნო ეგ სიმართლე — იმ დროსა და იმ თაობას იგი მიუძღვებოდა წინ“. მაშასადამე, „კოლხეთის ცისკრის“ შემეცნებით, სასწავლო-სამაგონათლებლო და იდეურ-აღმწერდელობით მნიშვნელობა უპირველესად განისაზღვრება კოლექტივიზაციის დროსა და თაობის, „სასტიკი თუ სათნო“ სიმართლის მხატვრული რეპროდუქციის, ჩვენი ეპოქის განვლილ ისტორიულ ეტაპზე, 20-იან წლებში სოფლად პარტიის პოლიტიკის გატარებაზე, შეხედულებათა სწორი სისტემის გამომუშავების ძალით.

მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით გარესამყაროზე შეხედულებათა სწორი სისტემა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეგვიმუშავდეს, თუ ეს სინამდვილე პირუთვნელად, ობიექტურად, მოცემული დროისა და ეპოქის სული-სკვეთებით არის გამოხატული. მაშასადამე, უწინარესად აუცილებელია ვიცნობდეთ ამ კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის მთავარ ტენდენციასა და მიმართულებას, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიიდან სოფლად „რევოლუციური გადატრიალების“ იმ პირველი წლების მწვავე წინააღმდეგობრივ ხასიათს.

ნაწარმოებში განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მექი ვაშაკიძისა და ტარას ხაზარაძის მხატვრულად სრულყოფილი, ახლებურად გააზრებული და ახლებურად განათებული სახეები. ერთის მოჭამაგირეობა, სილატაკე და სიბეჩავე, ხოლო მეორის მოწინავეობა და პროგრესულობა სრულიადაც არ არის ამ სახეების ნოვატორობის კრიტერიუმი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულმა ლიტერატურამ გლენთა წრის ამ ტიპის წარმომადგენლები კ. ლორთქიფანიძემდე არა ერთა და ორა შექმნა. სიხლდე ახალ სოციალურ სინამდვილისადმი მათ დამოკიდებულებაში, ამ დამოკიდებულებათა შედეგად ჩამოყალიბებულ მათ ახალ ფსიქიკასა და შეგნებაშია საძიებელი.

ტარას ხაზარაძის სულში ეს ფსიქიკა და შეგნება ადრე, საქართველოში თებერვლის რევოლუციის გამარჯვების დღეებიდანვეა შეჭრილი და შენივთებული, მექი ვაშაკიძეში კი იგი ტარასის იდეური ზეგავლენით პოულობს შესაფერ ხადინარს. პირველის სოციალური მდგომარეობით — უკიდურესი სიღარიბით გამოწ-

მწერლის მისაჯარი თემა

„ქართული სოფლის ქრონიკების“ რუბრიკით 1977 წელს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მძაფრ პუბლიცისტურ ნარკვევში „რა მოხდა აბაშაში“ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მკაფიოდ და ნათლად გვიჩვენა თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის, შემოქმედებითი თავისებურებების და დამოუკიდებლობის ის ერთგვარი იდუმალი მხარე, შთაგონების ის იმპულსური წყარო და ძალა, რომელსაც მისი სულით ლაბირინთები ფაქიზად და მოწიწებით ინახავენ. აი რას წერდა იგი:

„მთელი ჩემი დღე და მოსწრება სოფელ-სოფელ დაგვხეტებოდა, ჭერ კიდევ 1928 წელს შირაქში, ზემოქედის ახლად დაარსებულ კომუნას ვესტუმრე. მაგონდება ერთი ამბავი: ხამი დღე რომ გავიდა, კომუნის თავმჯდომარემ კობა ჩოხელმა გამომიცხადა: „ბოდიში, კონსტანტინე, მაგრამ კომუნის წესდებაში ასე გვიწერია, — სტუმარი ხამი დღისაა, მერე უნდა წავიდეს, ან სანამ დარჩება, ჩვენთან ერთად მინდორში უნდა იშუშაოსო“...

ოცდასამი წლის ბიჭი ვიყავ, საქმე როგორ მაჯობებდა, მაგრამ უბედურება ის იყო, — არც მკა ვიცოდი და არც თაიბის დადგმა შემეძლო, სხვა კი რა უნდა გამეკეთებინა ამ გასურებულ მკათათვეში! სამუშაო მაინც გამომინახეს: განიავებულ ხორბალს ტომრებში ვყრიდი და ვეება ცალეებს ურემზე ვუდებდი, იქიდან კი ბედელში გადაამქონდა.

პურის აღება რომ მოთავდა მერე გორა ყაბანაშვილს უზუნდარას ტყეში დავყვებოდი და წაქცეულ ხეებს ვაპობდი. დიადი გარდატეხის წლებში ჭერ გაზეთ „კომუნისტის“ საგანგებო კორესპონდენტად ვმუშაობდი ხონის თემში, მერე სოფელ ფარცხანაყანებში ქობსამკითხველს გამგედ...

მერე იყო გეგუთი და დაუფიწყარი იონა ფეტვინიძე, ბელორუსიის სოფლები და ბაბუარუსლო, უკრაინელი გუთინისდედა თედორე კლიმენკო და ქართველი გლეხი მისაკო ორაგველიძე, და ჩემი პირველი მხატვრული კინოფილმი „მეგობრობა“. ომის შემდეგაც ვერ გადავუდექი სოფელს და ისევ შირაქში დავბინავდი. ისევ ჩემი პირველი სკოლა და სიყვარული — ზემოქედის კოლმეურნეობა, და ისევ, ჩემი პირველი მასწავლებელი კობა ჩოხელი... სიბერემ აბაშაში მომიხწრო“.

აქედან ჩანს, რომ სოფელი და სოფლის თემატიკა 1920-იანი წლებიდანვე იქცა კ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ქვაკუთხედად, საფუძველთა საფუძველად, ხოლო თუ ამ მიწიერი, მატერიალური საფუძველის სულიერ გამოსახულებაზე, მის უმაღლეს და უმშვენიერეს გამოხატულებაზე მიდებდა საქმე, აქ მის გვირგვინად უნდა მივიჩინოთ „კოლხეთის ცისკარი“, არსებითად ეს ნაწარმოებია კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი სტიქიის, შემოქმედებითი სტილის გამოვლენის უზენაესი ფორმა.

ამას გვიდასტურებს თვით ნაწარმოების შექმნის, მისი პოპულარობის და გავრცელების ისტორიაც. ჭერ იყო და რომანის სახელწოდებამ ოთხჯერ განიცადა ცვლილება. 1931-1934 წლებში უფრონად „მნათობის“ ფურცლებზე პირველად გამოქვეყნებისა და ცალკე წიგნად გამოსვლისას მას ეწოდებოდა „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ — უცხო ტექნიკური კულტურების ფართოდ დანერგვის ბაზაზე თითქოსდა საქართველოში ტრადიციული სიმინდისათვის ზურგის შებრუნების მაშინდელი ტენდენციის გამომხატველი. მერე მას, 1937 წელს, ეწოდა „იმერეთი“. 1948 წელს ქართველ მკითხველ საზოგადოებას რომანი მოეგვინა „იმერეთის ცისკრის“ სახელწოდებით, ხოლო

6

ტერვიუში. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე 1942 წელს მტრის თვითმფრინავების არაერთი თავდასხმა გადაუტანია ჩვენს ქართულ 392-ე მსროლელ დივიზიას, მაგრამ ჩვენს სამოქმედო რაიონში ჩვენი და მტრის თვითმფრინავების შებმის სურათს არასოდეს შევსწრებივარ.

რაოდენ საყურადღებო, საინტერესო და მნიშვნელოვანია სამხედრო მფრინავის მიერ ასეთი შემზარავი ბრძოლების ნიშანდობლივად, სიცხადით და სიზუსტით აღწერა სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ისტორიისათვის. მერედა, როგორი დაძაბულობა, ნებისყოფა, მოსაზრებულობა და გამჭრიახობა სჭირდება ასეთ დროს განსაკუთრებით მსროლელ-რადისტს, რომლის ვაბედულ, ზუსტ მოქმედებაზეა დამოკიდებული წარმატების ბედი. საპაერო ბრძოლაში ხომ წამები წყვეტენ ყველაფერს! არ შეიძლება ამ საშინელი წამების მიახლოებითაც კი წარმოდგენა, თუ თვით არა გაქვს გადატანილი.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საკითხის მეორე ასპექტია უფრო ყურადსაღები. განა შესაძლოა, თუნდაც ვარაუდად იმის დაშვება რომ განუწყვეტელი საპაერო ბრძოლების ისეთ აქტიურ მონაწილეს, როგორც დავით ჩხიკვიშვილი იყო, რომლის მკერდს ლენინის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენები ამშვენებენ, დრო და „მოცალებობა“ რჩებოდა პოეტური „მთხველობისათვის?“ სამხედრო მფრინავ დავით ჩხიკვიშვილის მოგონებათა წიგნის უპირველესი ღირსება სწორედ მის რომანტიკულ ფერებსა და სილამაზეშია. ადამიანი არ არსებობს ამ ფერებისა და სილამაზის გარეშე. იგი უნძიძებს ტრაგიკულ წუთებში მსუბუქ ნიავად ევლინება ადამიანს, მის სულსა და გულს, რათა გაიწმინდოს დარდებისა და ნალველისაგან.

სარეცენზიო წიგნის ავტორი გადმოგვცემს რა ვალიას მოულოდნელი დაღუპვით გამოწვეულ მძიმე სულიერ განცდებს, 92-ე გვერდზე სავსებით ლოგიკურად, დამაჯერებლად და ხატონად სწორედ ასეთ წუთიერ, პოეტურ, რომანტიკულ ფიქრებზე მოგვითხრობს. „მძიმე ნაბიჯებით, ღონემიხდილი და გამოფიტული წამოვადი სახლისაკენ. იქვე კარვის წინ თივის

ზვინთან ჩამოვჯექი, ფეხები გავშალე და ზურგით მას მივეყრდენი... ავხედე ცას — ღმერთების საბუღარს, ცას — ჩვენი წინაპრების სალოცავსა და სანუგეშო საფანეს. მას კი შავი ფარდა გადაკეროდა, ბნელეთს მოეცვა. მხოლოდ აქა-იქ ციმციმებდნენ ვარსკვლავები... ეპ, ცაო, დიდო და უსაზღვრო ცაო... არაფერი მწამს შენი! მძულხარ, მძულხარ. შენ ჩემი მეგობრების სასაფლაოდ გადაქცეულხარ. თუ ღმერთი მართლაც ცაში ბუღობს, რატომ არ ყვირის, რატომ არ ბღავის, რომ მის საბუღარში, უკვდავების ამ საფანეში — ცაში ადამიანებს კლავენ“.

ეს ალალი მწერლოური ნიჭის, წმინდა პოეტური სულის ნაგვიანევი, მაგრამ ძალუმი გამონათებაა. უნდა მივესალმოთ, მხურვალედ უნდა გავულოთ გულის კარი სიხარულის მომნიჭებელ ასეთ მოვლენას. და ჩვენ მთელი არსებით ვუერთდებით პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ათასჯერ მართალ სიტყვებს, რომლითაც იგი თავის წინასიტყვაობის ბოლოს მკითხველებს მიმართავს:

„თითქმის მთელი ოთხი ათეული წელიწადი ეძინათ ამ მოგონებებს ავტორის სულსა და მეხსიერებაში. ისინი თითქოს ვახმაურებას არ ჩქარობდნენ და ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე კანტი-კუნტად გამოჩენის შემდეგ ავერ, ახლა ამ პატარა წიგნში ამეტყველდნენ. როგორც ჩანს, მათ ავტორს ბევრი უფიქრია, რა სახით, რა ფორმით მოეწოდებინა ისინი ჩვენთვის, ქართველი მკითხველისათვის და ამ ფიქრის შემდეგ ახლა ომის მონაწილეთა ჩვეულებრივს, ზოგჯერ ზოგადსა და მშრალ მოგონებებს კი არა გვანან, არამედ უფრო მეტად მხატვრულ ნაწარმოებებს, ნოველებს, მოთხრობებს და ამიტომაც უფრო მეტად იზიდავენ მკითხველის ცხოველ ინტერესს“.

ჩვენ მხოლოდ ერთს დავსძენდით: განუზომელია დავით ჩხიკვიშვილის წიგნის „მტრის ღრუბლიან ცაში“ მნიშვნელობა ახალგაზრდობის იდეურ-მსოფლმხედველობრივი, პატრიოტული და ზნეობრივი აღზრდის დიდი სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის. იგი ძვირფასი შენაძენია ქართული სამხედრო-მემუარული ლიტერატურის საგანძურში.

პაპაძე თოფურია

- რედაქციის მისამართი: თბილისი, რუხთაველის პროსპექტი, № 12.
- ბელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/პგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 11.06. 86 წ. ზღმომწერი-ლია დასაბეჭდად 28. 07. 86 წ. ანაწყობის ზომა 71/4X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფო-ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საადრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 10282. ტირაჟი 32.000, შეკ. 1453. საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა,

თაურთა და რიგოსანთა შორის. ერთ-ერთი საწვრთნელი ფრენის დროს დივიზიის მთავარმა შტურმანმა გრიშა ჩიტაიშვილმა ათასი მეტრის სიმაღლიდან ათი საავიაციო ყუმბარა ესროლა მიზანს და პირველი ყუმბარა პოლიტონის ცენტრში ორიენტირისათვის გამოსახულ ჯვარზე მოახვედრა. ეს სენსაციური ფაქტი, როგორც საბრძოლო წვრთნის საუკეთესო გამოცდილება, განზოგადდა და გრიშა ჩიტაიშვილის გვარი ჯერ კიდევ ომამდე მთელს ავიაციაში ცნობილი იყო. ლეგენდარული იყო მისი საბრძოლო გაფრენები ომის წლებშიც. საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზეც წარადგინეს.

და სწორედ მაშინ, 1945 წლის აპრილში, როცა ფრონტის ხაზი ბერლინთან ახლოს, ოდერსა და ნაისზე გადადიოდა, შორსმფრენი ავიაციის ერთ-ერთი კორპუსის რამდენიმე თვითმფრინავმა, რომელსაც სათავეში ედგა პოლკოვნიკი ჩიტაიშვილი, ნაცვლად კენისბერგის ცენტრისა, ღამით ქალაქის გარეუბანი დაბომბა. ეს საბედისწერო შეცდომა იმდამესვე ცნობილი იყო მთავარსარდლობისათვის. გრიშა გადაურჩა მკაცრ დასჯას, მაგრამ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებაზე უარი ეთქვა. მრავალი ორდენის კავალერი ომის შემდეგ სამშობლოს წინაშე მაინც ვალმოხდრილი დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში. უბედობის მწარე განცდებმა კი დააჩქარეს მისი სიკვდილი. ასეთია მისი რეალური ბიოგრაფიის შტრიხები.

დავით ჩხიკვიშვილი ამ შტრიხებიდან გვიხატავს ლიტერატურულ გმირად ქცეული გრიშა ჩიტაიშვილის ჭეშმარიტად რაინდულ სულს, მისი ვაჟკაცური ხასიათის შთამბეჭდავ თვისებებს, მის მომხიბლავ ქცევებს და მოქმედებას, რომლებშიც თანაბრად იყო შერწყმული მეთაურის ჩინისათვის რამდენადმე უჩვეულო იუმორი, სიხალისე და სილადე. ასევე ითქმის ნოვიკოვზე, ვაგაპოვზე, ავიაციის მარშალ გოლოვანოვზე, მარინა მასწავლებელზე და სხვებზე.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი. შეუძლებელია აუღელვებლად, ჟრუანტელის მომგვრელი განცდის გარეშე წაიკითხოთ ნოველა — მოთხრობა „მკედარი არე“ (გვ. 82-93), რომელშიც, საავიაციო ბრძოლის პირველი დღეების სიძნელებებისა და რაციონალიზატორული გამოგონებების აღწერასთან ერთად, კალმის ერთი მოსმით დახატულია სათადარიგო აეროდრომის სახელოსნოს ოსტატი ქალის, მადალი, ჯანიანი, ცისფერთვალემა ოცი წლის ვალიას ძლიერი, კეთილშობილური, დაუფიწყარი სახე. დავით ჩხიკვიშვილი ადვილად ახერხებს ცხოვრებისეულ დეტალს ყოველთვის მიანიჭოს მხატვრულობის საინტერესო იერი.

ვალისამ გამოსუქდა ფოლადის ფურცლისაგან მფრინავთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად თვითნაკეთი ჯავშნის ფარი, მან დადგა თვითმფრინავის კულში საავიაციო ტყვიამფრქვევი,

იგი ხელდახელ, სასწრაფოდ „კურნავდა“ საპაერო ბრძოლებიდან დაბრუნებულ ნატყვიარ თვითმფრინავებს. და სწორედ ასეთ მომენტში, როცა აეროდრომს „იუნკერსებმა“ ყუმბარები დაუშინეს, მტრის ტყვიებმა განგმირა უბრალო რუსის გოგონა ვალია. „სამარადისოდ ჩარჩა მესხიერებაში მისი სახე, — გვიამბობს წიგნის ავტორი, — აჩრდილივით დამყვება იგი ყველგან. ეტვი არ მეპარება, რომ მასავით უბრალო, უშიშარი, სუფთა და ნამუსიანი ქალების მადლით ჯერ კიდევ ცოცხლობს ზნეობა ამ ცოდვით სავსე მიწაზე“ (გვ. 93). — გულისდამწველი, სევდიანი, მართალი და აღმგზნები სიტყვებია!

არ შეიძლება გულგრილად გვერდი აუარო წიგნის იმ ადგილებს, სადაც აღწერილია ჯერ კიდევ სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა ბათუმიდან შორეული რუსეთის ქალაქებში სანახავად არაერთხელ ჩასულ მამასთან შეხვედრის სცენები და ეპიზოდები (გვ. 100-104). მაშინ სულ რაღაც 19-20 წლის ყმაწვილი დავით ჩხიკვიშვილი ზოპოროჟიესა და სმოლენსკის სამხედრო-სავიაციო ნაწილებში მსროლელი რადისტის „პროფესიას“ ეუფლებოდა. იმდენად დაძაბულ ვითარებებში ტარდებოდა საწვრთნელი მეცადინეობები, კურსანტი ოთხი ქარბუქიანი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეხვდა და ისიც მხოლოდ ორი საათით საქართველოდან ჩასულ მოხუც მამას, რომელიც იღუმალად გრძნობდა მოახლოებული ომის საშიშროებას. „მამა ძლიერი კაცი იყო, — წერს ავტორი, — სულგრძელი, დინჯი, მძიმე და რთული ცხოვრებით ნაწრთობი. მაგრამ მას სოვს მისი ცრემლებიც, რომლებიც ხელის გულზე დამეცა. ისინი მოუჩინებელი ჭრილობებით შემომჩა“ („მტრის ღრუბლიან ცაში“, 1985, გვ. 101).

დაიხ, შეილის მესხიერებას შემორჩა მამის ცრემლიანი სახე. ამ წიგნით კი ქართულ შემუშარულ ლიტერატურას შერჩა ერთი საუკეთესო საგალობელი დედასთან ერთად მამის რაობასა და ხვედრზე, მის როლზე, როგორც შვილების ბრძენ მეგზურსა და ფხიზელ მეკვლეზე, ოჯახისა და სამშობლოს საყრდენ კედელზე, წარსულსა და მომავალს შორის უწყვეტი კავშირის განსახიერებაზე, ისეთ კომპასზე რომელიც „გზას უკვლევს შვილებს სინათლისაკენ ბურუსით მოცულ სამყაროში“. შერჩა ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩვენ მიერ ოდნავი პერეფრაზირებით წამოღებული ორიგინალური გამოთქმა: ხელის გულზე დაცემული მამის ცრემლები!

გ. კ. შუკოვს თავის ცნობილ სქელტანთან წიგნში არსად არა აქვს აღწერილი საპაერო ბრძოლის ეპიზოდი. თვითონ არ იყო მისი მოწმე და მონაწილე. მე ასეთი ბრძოლა არც მინახავსო — მიუთითებდა კიდევ ერთ-ერთ ინ-

III. კორეულ-კეონური ლოგაედისა და ორტარფინანი ამფიბრაჰის ნაერთი

„ხმით ტირილის“ მესამე საზომს პროსოდიულ ფუძედ ედება ექვსმარცვლიანი ქორეულ-მესამეკეონური ლოგაედისა (2+4) და მისი რიტმული ვარიაციების შეერთება ორტარფინან ამფიბრაჰთან (3+3). სანიმუშოდ („სადოს ტირილი“, „მაწლის დატირება“, „აღაშოს დედის დატირება“, „ჯაანთ მაროს ტირილი“):

- ა) ოხრად, ბეჩავ, ოხრად, მამული ოხრისივ... $\begin{matrix} 1 & 3 & 5 & & 8 & 11 \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$
- ბ) სულწუხაიწ ხარივ, რაითამ გაზძღებავ... $\begin{matrix} - & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$
- გ) ზეჰვე მობრუნდესავ ჩვენ ცოდვით ქალაქივ... $\begin{matrix} \cup & \cup & - & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$
- დ) არ ეტყობოდავ ჩემ ფიდოს ნაფრენივ... $\begin{matrix} - & \cup & - & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$

IV. ორტარფინანი ამფიბრაჰისა და კორეულ-კეონური ლოგაედის ნაერთი

„ხმით ტირილის“ მეოთხე საზომს პროსოდიულ ფუძედ ედება ორტარფინანი ამფიბრაჰის (3+3) შეერთება ქორეულ-მესამეკეონურ ლოგაედთან (2+4) და მის რიტმულ ვარიაციებთან. მაგალითად („გრიგოლიაძე სონას ტირილი“, „ქედანთ სრფოს ტირილი“, „ხელანთ მატროს ტირილი“, „ქაბუკაიძე სიდოს ტირილი“):

- ა) დაწყეულ გვარიავ — პაპის ნათქვამ ვიცივ... $\begin{matrix} 2 & 5 & 7 & 9 & 11 \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$
- ბ) წელ კედელს შიადგდივ, გამაგრება გინდავ... $\begin{matrix} \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$
- გ) ნილვრად გეჰცესა ცრემლი ქალ-ზლისაი... $\begin{matrix} \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$
- დ) ციხეო მალალო, თავჩარდახიანო... $\begin{matrix} \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ \cup & \cup & \cup & \cup & \cup \end{matrix}$

ახე და ამრიგად, როგორც ირკვევა, საანალიზო მეტრული კომპოზიციის ბალავარია ოთხნაირი საზომის ორგანული ერთობლიობა — „ხმით ტირილის“ რიტმულ-ინტონაციურ ფერადსახეობათა ერთ-ერთი უპირატესი წყარო.

ამ თვალსაზრისით, თუშური თორმეტმარცვლელი თავისებურად ენათესავება სილაბურ-ტონური ლექსის ერთ ტიპოლოგიურ მოვლენას, როცა ტაქტის გასწვრივ ბუნებრივად იცვლება მეტრულ მახვილთა რიგი. ეს წესი, მაგალითად, რუსული პოეზიის სილაბურ-ტონურ ნაკადში ზოგჯერ ასე მუდგენდება: ქორეული საზომის ნიშანდობლივ თავისებას (მახვილები კენტ მარცვლებზე) ენაცვლება იამბური საზომის ნიშანდობლივი თავისება (მახვილები ლუწ მარცვლებზე). ამ ხერხით არის დაწერილი, თუ გნებავთ, კონსტანტინე ბალმონტის ტაქტები, რომელთაც სკანდირების ფონზე ვკითხულობ:

Не кляните мудрые! Что вам до меня?
Я ведь только облако, полное огня.
 $\begin{matrix} \cup & \cup & \cup & \cup & \cup & \cup \\ 1 & 3 & 5 & 8 & 10 & 12 \end{matrix}$

მართალია, გიორგი შენგელი მოცემულ ვერსიფიკაციულ ფაქტს იმით განმარტავს, რომ აქ მარცხენა ნახევარტაქტი „წაგრძელებულია“ („ნარაშჩენო“), „რაც აუცილებელი არ არისო“, მაგრამ სინამდვილე სინამდვილედ რჩება: მეტრული მახვილები კენტი მარცვლებიდან (ქორეული კანონი), რეალურად ლუწ მარცვლებზე გადადის (იამბური კანონი).

ანალოგიურ და საპირისპირო პროსოდიულ მოვლენებზე ამჟამად აღარ შევნიშნებდი და სხვა დროს გავაგრძელოთ შესაფერი სჯა-ბაასი.

დავუბრუნდეთ „ხმით ტირილის“ მეტრულ კომპოზიციას: აქ ცეზურა შეეჰვესე-მეშვიდემ მარცვლებშუა გადის და ტაქტს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს: 6||6. უველა შემოხვევაში სავალდებულოა ორი მეტრული მახვილი: ცეზურის წინ (მეხუთე მარცვალი) და ტაქტის ბოლოს (მეთერთმეტე მარცვალი). როგორც წესი, ქორეულია ცეზურაცა და კლაუსულაც, ანუ ტაქტის მეტრული დაბოლოება.

„ხმით ტირილის“ მეტრულ კომპოზიციას ოთხი ძირითადი მახვილი ამოძრავებს: ქორეული, ამფიბრაჰული, მესამეკეონური და დიქორეული.

ახე რომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ: თუშური თორმეტმარცვლელი, პროსოდიული თვალსაზრისით, ნაირტერფოვანი, ანუ ლოგაედური, წყობაა და სილაბურ-ტონურობის ფარგლებში მოქმედებს, ვინაიდან ტარფთა ნაირობის მიუხედავად, ეთანადება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი (ანდა: პოტენციურად კანონზომიერი) ჭერეულობის კანონს.

4 გ. შენგელი, ლექსის ტექნიკა, მოსკოვი, 1960, გვ. 97 (რუსულად).

ძვირფასი შენაქანი

წიგნის გარეკანზე გამხმარი სისხლის შავი ლაქა და კიდეებზე მიმოხვეული წვეთების წრეებია გამოსახული. ზედ ვერტიკალურად სამი სიტყვაა ამოტვიფრული: „მტრის ღრუბლიან ცაში“.

გარეკანის მეორე გვერდიდან ძველი ფოტოსურათის რეპროდუქციული ანაბეჭდი შემოგვტყერით. ახალგაზრდა კაცის უცნობი სურათიდან სიწმინდე და სიფაქიზე გამოკრთის. მხოლოდ მკვირცხლი, მაძიებელი თვალების შორეული მზერა გარწმუნებს მასში ჩაკირული სულის სიმტკიცესა და სიმამაცეში.

ასე შემოდის ჩვენს ცნობიერებაში ომამდელი ჩვენი საბჭოთა სტუდენტი ახალგაზრდობის ზოგადპორტრეტული იერსახე. მათ შორის იყო დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი, რომელიც 1939 წელს მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლიდან მოხალისედ წავიდა სამხედრო სკოლაში. სწორედ იგი — მფრინავის ფორმიანი ახალგაზრდა, ზემოთ ნახსენებ ფოტოსურათიდან რომ შემოგვტყერის.

დავით ჩხიკვიშვილის საბრძოლო ბიოგრაფიის ეპიზოდები დაფარული არასოდეს ყოფილა. მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ბატონი დავითი, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, შემოქმედებითი მადლითაც თუ იყო მირონცხებულო.

გასულ, 1985 წელს გამოსული მისი მოგონებათა კრებულის ყოველ ფურცელში, ადამიანურ გრძნობათა ისეთი გულმხურვალი, წრფელი და უშუალოდ გამსჭვალული ძლიერი ფეთქვა გამოსჭვივის, რომელმაც არ შეიძლება არ გაგიტაცოს და თავის ტყვეობაში არ მოგაქციოს, რათა კიდეც ერთხელ, გულისტკივილით წარმოიდგინო ომის საშინელებანი, თბილად და სათუთად გაიხსენო მძიმე განსაცდელის ეპოს შეძენილი განუყრელი მეგობრები, ახლობლებისა და ნათესავების ჭირ-გარამი, ბრძოლებში დაღუპული თანამდგომნი და თანამოზიარენი.

საიდან მომდინარეობს გრძნობათა და განცდათა ასეთი მრავალფეროვნება?

სად იღებს სათავეს მისი ანკარა წყარო? — უნებურად გებადებთ კითხვა და უნებურადვე ჩნდება შესატყვისი პასუხი: საკუთრივ ნანახიდან, საკუთრივ განცდილიდან, საკუთარი გულის ხმიდან, დედისა და მამის შთაგონებიდან,

დავით ჩხიკვიშვილი. მტრის ღრუბლიან ცაში, 1985.

სწავლისა და აღზრდის სისტემიდან, რწმენისა და მიზნის ურღვევი ერთიანობიდან.

კვლავ დიდხანს გაგვახსენებს თავს ენთუზიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის, იდეურ-პოლიტიკური მონოლითობის ომის წინა და ომის-დროინდელი ხანა.

მეხსიერების ორმოცი წლის „გვირაბში“ ოქროს ზოდად შემონახული ეს ძვირფასი რელიკვია იქცა დავით ჩხიკვიშვილის მოგონებათა წარმატების საფუძვლად. აქ გადამწყვეტი როლი ავტორის პოზიციამ შეასრულა. მას აურჩევია ამბის თხრობის მარტივი, მაგრამ ყველაზე სწორი და გონივრული ფორმა. მოვლენების არა განსჯა და შეფასება თანამედროვეობის ინტელექტუალური სიმაღლეებიდან, არა მოწყვეტა და „ამოგლეჯა“ წარსული ქარიშხლიანი დროის რეალური სინამდვილიდან, არამედ ისე ჩვენება და გადმოცემა, როგორაც აღბეჭდა და შემორჩა შთაბეჭდილებათა ფარულ „ეკრანზე“, ხანგრძლივად რომ ელოდა გახმინებას და გამჟღავნებას. შემოქმედებითი პროცესი ეს ხანგრძლივი დრო დავით ჩხიკვიშვილს გამოუყენებია ფაქტების აღწერისა და დაზუსტებისათვის და არა მისი შელამაზებისათვის.

ასე მივიღეთ ერთ წიგნად შეკრული დოკუმენტური პროზის ცხრა საუცხოო ნიმუში, ცხრა მოთხრობა („თილისმა“, „დედის ხელით შეკერილი პერანგი“, „ახლოდან ნანახი გერმანელები“, „მარინა მასწავლებელი“, „ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი“, „ვლადიმერ კანდელაკი“, „ირა“, „მკვდარი არე“, „რაინდი“), რომელთაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება გამოქვეყნებისთანავე დიდი ინტერესით შეხვდა.

ამ ნაწარმოებების ყველა მოქმედი პირი რეალურად არსებული ადამიანებია, მაგრამ ისინი აღიქმებიან ლიტერატურულ პერსონაჟებად, გრძნობად-ემოციურ სახეებად, გარკვეული იდეურ-მხატვრული ფუნქციის მატარებელ გმირებად. ამიტომ მათი სახება უშუალოდ იჭრება მკითხველის სულსა და გულში. ისინი წიგნის დახურვის შემდეგაც რჩებიან მის თანამზავრებად, მის მშვენიერ ნაცნობებად, მეგობრებად თუ სევდიან აჩრდილებად.

ასეთია, მაგალითად, „ძველი ფრესკებიდან მიწაზე ჩამოსული და ცაში აფრენილი ვაჟაკი“ გრიშა ჩიტაიშვილი, ლეგენდარული მფრინავი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ომის წინ სასწაულებრივ ამბებს ყვებოდნენ ავიაციის მე-

১৯ ৬
B

১৩নং (৭) (১৩নং ২৫)

০২.১১.৯৩

১৩নং ২৫